საქსტატი
www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2016

II კვარტალი



19.09.2016
www.geostat.ge

19.09.2016

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2016 წლის II კვარტალი

2016 წლის II კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 8 059,8 მლნ. ლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 3,0 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 0,7 პროცენტით.

ცხრილი №1

	II კვ. 2015*	II კვ. 2016*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	7 774,7	8 059,8
მშპ ერთ სულზე (ლარი)	2 093,5	2 166,4
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	3 407,6	3 642,6
მშპ ერთ სულზე (აშშ. დოლარი)	917,6	979,1
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	2,5	3,0
მშპ-ის დეფლატორი (%)	5,8	0,7

* წინასწარი მონაცემები;

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი
(პროცენტი)



* წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

NACE-ის სექცია	II 15*	II 16*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	676,7	750,3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	67,7	88,0
დამამუშავებელი მრეწველობა	663,8	675,6
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	210,8	244,9
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	157,7	167,8
მშენებლობა	538,6	601,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1 097,0	1 071,0
სასტუმროები და რესტორნები	171,9	193,4
ტრანსპორტი	559,5	500,5
კავშირგაბმულობა	167,8	166,0
საფინანსო საქმიანობა	261,3	293,6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	434,1	445,3
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	229,9	226,3
სახელმწიფო მმართველობა	598,5	650,4
განათლება	327,8	348,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	414,5	424,3
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	311,6	350,7
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	6,2	7,3
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-107,1	-119,5
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი	**6 788,2**	**7 085,5**
(+) გადასახადები პროდუქციაზე	1 029,9	1 023,7
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	43,4	49,4
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი	**7 774,7**	**8 059,8**

* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2016 წლის II კვარტალში*



* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა (16,6 პროცენტი) და ვაჭრობა (15,1 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (10,6 პროცენტი), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (9,4 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,2 პროცენტი), მშენებლობა (8,5 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).

ცხრილი №3

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ (პროცენტი)

NACE-ის სექცია	II 15*	II 16*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	2,1	1,7
სამთომოპოვებითი მრეწველობა	12,7	24,1
დამამუშავებელი მრეწველობა	-3,2	8,3
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	5,6	0,3
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	3,2	1,5
მშენებლობა	15,6	12,8
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1,1	-2,8
სასტუმროები და რესტორნები	7,4	10,8
ტრანსპორტი	5,2	-5,8
კავშირგაბმულობა	2,2	0,6
საფინანსო საქმიანობა	10,6	9,4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	6,6	3,4
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	1,1	1,5
სახელმწიფო მმართველობა	0,7	4,5
განათლება	2,8	2,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3,8	1,0
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	6,7	8,7
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	-9,9	9,5
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	6,7	9,8
მშპ საბაზისო ფასებში	**3,6**	**3,1**
გადასახადები პროდუქციაზე	-3,7	2,3
სუბსიდიები პროდუქციაზე	6,0	5,5
მშპ საბაზრო ფასებში	**2,5**	**3,0**
მშპ დეფლატორის ზრდა	5,8	0,7

* წინასწარი მონაცემები

ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: სამთომოპოვებითი მრეწველობა (24,1 პროცენტი), მშენებლობა (12,8 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (10,8 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (9,4 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (8,7 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (8,3 პროცენტი).

კლება დაფიქსირდა ტრანსპორტში (-5,8 პროცენტი) და ვაჭრობაში (-2.8 პროცენტი).

2016 წლის II კვარტალში მშენებლობის სფეროში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების რეალური ზრდა განპირობებულია სახელმწიფო ინფრასქტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

2016 წლის 15 ნოემბერს დაზუსტდება 2015 წლის და 2016 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემები. 2016 წლის მონაცემების საბოლოო დაზუსტება განხორციელდება 2017 წლის 15 ნოემბერს.

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი, განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2016 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემები თავდაპირველად იანგარიშება 2015 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2016 წლის ნოემბერში, 2015 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2015 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვლება 2016 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2017 წლის ნოემბერში 2016 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2016 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები.

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge